*დანართი №1*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## სოციალური მუშაობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

## სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 9-20.01.23

დასკვნის წარდგენის თარიღი: 27.03.2023

თბილისი

## შინაარსი


I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ..... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ..... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ..... 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ..... 15

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ..... 21

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ..... 23

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ..... 32

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტ |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სალომე ნამიჭეიშვილი, სსიპ - თსუ, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნათია ფარცხალაძე, სსიპ - თსუ, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | სოციალური მუშაობა |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Social Work |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | სოციალური მუშაობის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0923 - სოციალური მუშაობა და კონსულტაცია<br>0923.1.1 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>გადაწყვეტილება<br>https://eqe.ge/ka/decisions/2364/show<br>30/9/2011 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | N/A |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წლის 30 სექტემბერს.

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სოციალური მუშაკების მომზადება, რომლებიც შეძლებენ:

- ✓ შეიტანონ წვლილი საფრთხის წინაშე მყოფი ინდივიდების, თემებისა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე ცვლილებების განხორციელებით;
- ✓ გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება სოციალური მუშაობის სფეროში პრობლემების განსაზღვრისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის;
- ✓ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას სოციალური ადვოკატობის მიზნით;
- ✓ პროფესიული საქმიანობისას ეთიკის და პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებას.

როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ასახულია ის კომპეტენციები, რომლებიც სოციალურ მუშაკს ესაჭიროება მომავალ პროფესიაში, რათა მან შეძლოს მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე სხვადასხვა საფრთხის წინაშე მდგომი ინდივიდებისა და ჯგუფებისთვის სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა. პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული და აკადემიური სტანდარტების ინტეგრაციით ღრმა პროფესიული ცოდნისა და კრტიკული რეფლექციის უნარი მქონდე სოციალური მუშაკების მომზადებას.

პროგრამა პასუხობს სოციალური მუშაობის სფეროს თანამედროვე ტენდენციებს, რომელიც მოიცავს კვლევის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გაძლიერებას. აქცენტს აკეთებს როგორც პრაქტიკაზე, ასევე, თეორიულ სწავლებაზე. კერძოდ, მისი მიზანია სხვადასხვა დაუცველი ჯგუფების სოციალური კეთილდღეობის ამაღლების მიზნით, ეფექტური პროგრამების და მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, ისეთი უშუალო პრაქტიკის უზრუნვეყოფა, რომელიც დაფუძნებულია მტკიცებულებებზე.

პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, სწავლების ენა ქართულია, მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „სოციალური მუშაობის მაგისტრი“, საკრედიტო მოცულობაა 120 კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურა შედგენილია სამაგისტრო სწავლების საფეხურის შესაბამისი სილაბუსებითა და თემატიკით. ის მოიცავს კვლევის და პრაქტიკული სწავლების კომპონენტს. პროგრამა აგებულია სპირალური კურიკულუმის საფუძველზე, სწავლის მიზნებისა და შედეგების ზედმიწევნით გათვალისწინებით. გვაძლევს საშუალებას მივაღწიოთ პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 11 სავალდებულო (აქედან უშუალოდ სოციალური მუშაობის 9) და 2 არჩევით სასწავლო კურსს. პროგრამის სავალდებულო კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, ასევე, სოციალური მუშაობის პრაქტიკის კომპონენტს.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალია: 8 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი და 8 მოწვეული ლექტორი.

პროგრამის მიერ წარმოდგენილი სოციალური მუშაობის სპეციალობის კურიკულუმი/კურსები შესაბამისობაშია სოციალური სამუშაოს პროფესიის საუკეთესო გამოცდილებასა და ადგილობრივ მოთხოვნებთან.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სოციალური მუშაობის პრაქტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს განსხვავებული ტიპისა და პროფილის ორგანიზაციები.

ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და სწავლის შედეგების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში მოხდა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების განახლება. მიზნები და შედეგები გახდა უფრო ნათელი, რეალისტური და მიღწევადი. განახლებული მიზნები და შედეგები უფრო ნათლად ასახავს თუ რა ცოდნას, კომპეტენციებს და უნარებს დაეუფლება კურსდამთავრებული პროგრამაში. ასევე, განახლებული სწავლის შედეგები შესაბამებამისობაშია ამჟამინდელ მოქმედ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-7 დონესთან და მოიცავს ცოდნის და განცობიერების, უნარებისა და ავტონომიურობის-პასუხისმგებლობის სწავლის შედეგებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სოციალური მუშაობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით შესწავლილ იქნა მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტი არ განხორციელებულა.

✓ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის სამი სტანდარტის (#1, #2 და #4) მიხედვით, რომლის შესწავლაც დაევალა ექსპერტთა ჯგუფს, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამამ აჩვენა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია ყველა ზემოაღნიშნულ სტანდარტთან, კერძოდ:

- ✓ პროგრამა შესაბამისობაშია პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა);
- ✓ პროგრამა შესაბამისობაშია მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა);
- ✓ პროგრამა შესაბამისობაშია მეოთხე სტანდარტის მოთხოვნებთან (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა).

- **რეკომენდაციები**

არ არის წარმოდგენილი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ სასურველია უფრო მცირე კრედიტიანი კურსების განვითარება, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი მოქნილობა მათთვის საინტერესო კურსების ასარჩევად (1.5).
- ✓ სასურველია არსებობდეს ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალი, სადაც სოციალური მუშაობის სტუდენტების შეძლებენ სტატიების გამოქვეყნებას (2.2).
- ✓ სასურველია სოციალურ მუშაობაში დოქტორანტების წახალისება და მხარდაჭერა, რათა მათ დისერტაციის დაცვის შემდეგ გაამდიდრონ პროგრამის აკადემიური პერსონალი (4.1).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სოციალური მუშაკების მომზადება, რომლებიც შეძლებენ, წვლილი შეიტანონ საფრთხის წინაშე მყოფი ინდივიდების, თემებისა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე ცვლილებების განხორციელებით; გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება სოციალური მუშაობის სფეროში პრობლემების განსაზღვრისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის; გამოიყენონ მიღებული ცოდნა და გამოცდილება სოციალური ადვოკატობის მიზნით; და ასევე, გაითვალისწინონ ეთიკის და პროფესიული სტანდარტების საქმიანობისას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ვასკვნით შემდეგს:

- ✓ პროგრამის მიზნები არის ნათლად ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმებთან.
- ✓ პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს რომლის დაუფლებასაც ახდენს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდგომ. პროგრამის მიზნები პირდაპირ კავშირშია სოციალური სამუშაოს დარგის და საზოგადოების განვითარებისთვის არსებულ საჭიროებებსა და მოთხოვნებთან.
- ✓ პროგრამის შესახებ ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია პროგრამის ვებ-გვერდზე.
- ✓ პროგრამის შედეგები, ასევე, ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, სფეროს და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს; ბაზრის კვლევის ანგარიშში დეტალურადაა მოცემული თუ რა უნარებს და კომპეტენციებს გამოიმუშავებენ პროგრამის კურსდამთავრებულები. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემუშავების დროს მონაწილეობენ დამსაქმებლებიც, ასევე სტუდენტებიც. პროგრამა ითვალისწინებს მათ საჭიროებებს.
- ✓ პროგრამის მიზნები და ამოცანები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

- ✓ ამრიგად, პროგრამის შედეგები მიღწევადია არსებული პოგრამის შინაარსისა და რესურსების გათვალისწინებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ✓ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ✓ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (პროგრამის კურიკულუმი)
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- ✓ ბაზრის კვლევის ანგარიში

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არ არის წარმოდგენილი.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამაში სწავლის შედეგები ნათლად აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებიც სტუდენტებმა უნდა შეიძინონ პროგრამის დასრულებისას. პროგრამის მიზნები ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი სრულად შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს და, ასევე, ფორმულირებულია ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით.

პროგრამა ითვალისწინებს 7 შედეგს, რომლებიც 2011 წლის შედეგებთან დაკავშირებით გამსხვილებულად არის წარმოდგენილი და, შესაბამისად, უფრო კომპაქტურად. ისინი

მკაფიოდ არის ორიენტირებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ✓ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ✓ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (პროგრამის კურიკულუმი)
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის წარმოდგენილი.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- ➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წარმოდგენილი ინფორმაცია თვითშეფასების ანგარიშში და დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები დეტალურად ინფორმაციას გვაწოდებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი (მაგ., სტუდენტების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები) მეთოდები.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, რომელთა შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის კურსდამთავრებულთა აკადემიური მოსწრებისა და პროგრამიდან განთესვის მაჩვენებლები.

როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი პერიოდულად აფასებს პროგრამას და მის შედეგებს და პერიოდულად მიმდინარეობს შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოყენებულია პროგრამის გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია, პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შედეგების შეფასების ასპექტები, მაგ. პრაქტიკის პორტფოლიო. პორტფოლიო არის საქაღალდე, რომელშიც სწავლის პროცესში მონაწილე ინახავს თავის ნამუშევრებს. დავალების ამ ფორმას იყენებენ კეთებით სწავლების დროს. პორტფოლიო შეიძლება შეიცავდეს სტუდენტის მიერ შესრულებულ დავალებებს (პროცესის ჩანაწერები, ბიო-ფსიქო სოციალური შეფასება, სხვ.), ჯგუფური პროექტების ანგარიშებს და ა. შ. პორტფოლიოს დანიშნულებაა, რომ სტუდენტმა თავად შეაფასოს თავისი ნაშრომები და გააცნობიეროს, თუ რა შეცდომები დაუშვა და როგორ შეიძლება მომავალში ამ შეცდომების აცილება. სტუდენტები პრაქტიკის სემინარების ფარგლებში შეფასებულნი არიან პრაქტიკის პორტფოლიოს მიხედვით. პრაქტიკის პორტფოლიო სტუდენტებს საშუალებას აძლევს წარმოადგინონ საკუთარი პრაქტიკისა და ცოდნის დამადასტურებელი მასალები. სტუდენტები ახდენენ პრაქტიკის პორტფოლიოსათვის საჭირო მასალების შეგროვებას პრაქტიკის ხელმძღვანელის უშუალო დახმარებითა და რეკომენდაციებით. პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში ეს მიდგომა სრულად ასახავს სოციალური მუშაობის პრაქტიკის სწავლების თავისებურებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ✓ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ✓ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (პროგრამის კურიკულუმი)
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- ✓ სამიზნე ნიშნულები
- ✓ კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის წარმოდგენილი.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| შეფასების მექანიზმი |
| --- |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. იგი ხელს უწყობს პროგრამის მიზნისა და და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის განმავლობაში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი (66 კრედიტი სავალდებულო, 12 კრედიტი სავალდებულო არჩევით, 18 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი და 24 კრედიტი პრაქტიკა).

თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განაწილება ხდება ადგილობრივი და საერთაშორისო გაიდლაინების/სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება შესაძლებელია პრაქტიკის გავლის შედეგად, რომლის შესაძლებლობა ყველა სტუდენტს ეძლევა. ყოველ სემესტრში სტუდენტი გადის პრაქტიკას ე.წ. პრაქტიკის ორგანიზაციაში (სულ 24 კრედიტი). პრაქტიკის კომპონენტის არსებობა სოციალური მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, ასევე, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის ორგანიზაციების მრავალფეროვნება, სადაც სტუდენტებს აქვთ პრაქტიკის მიღების შესაძლებლობა. საინტერესო პრაქტიკაა ის, რომ პრაქტიკის კურსები კონცენტრირდება მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემებზე. პრაქტიკა I პირველ სემესტრში კონცენტრირდება სოციალური მუშაობის ზოგადი ინტერვენციის მოდელზე - შემთხვევის მართვის მეთოდზე. ეს მეთოდი სოციალურ მუშაობაში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მეთოდია და შესაბამისად მნიშვნელოვანია მასზე აქცენტირება. რაც შეეხება დანარჩენ სემესტრებს, მეორე სემესტრში პრაქტიკა II აქცენტირდება უსახლკარობის პრობლემაზე; მესამე სემესტრში პრაქტიკა III - რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, მოზარდის უფლებებზე და ნარკომანიით გამოწვეულ ზიანზე, ხოლო მეოთხე სემესტრში პრაქტიკა IV - ოჯახში ძალადობის საკითხებზე. გარდა ამისა, პრაქტიკის კონცეფციაში აღნიშნულია, რომ პრაქტიკის პირველი და მეორე სემესტრი მიკრო დონის უნარების განვითარებას უწყობს ხელს, ხოლო მესამე და მეოთხე სემესტრი კი მაკრო დონის უნარების განვითარებას უწყობს ხელს. პრაქტიკის კონცეფციაში წარმოდგენილია კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც უწყობს პროგრამა ხელს. ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება ამ კომპეტენციების შეფასება.

პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარება, რაც ეტაპობრივად მიმდინარეობს, კვლევითი კურსების (კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, გამოყენებითი სოციალური სტატისტიკა, სოციალური პროგრამების განვითარება და შეფასება) და ემპირიული კვლევის საფუძველზე. სტუდენტები სოციალური მუშაობის კვლევის პროექტის და სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში იყენებენ რაოდენობრივ/თვისებრივ მეთოდებს, რათა სოციალურ მუშაობის მიმართულებით განახორციელონ კვლევა, კრიტიკულად გაანალიზონ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები, დაგეგმონ და განახორციელონ ეთიკური კვლევა, მოახდინონ პროგრამების მონიტორინგი და

შეფასება, შესაბამისი ინტერვენციული მეთოდით განავითარონ დაუცველი და რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფებისათვის ეფექტური სოციალური პროგრამები.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, რაც ნათლად და მკაფიოდ არის წარმოდგენილი.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; პროგრამის შინაარსი ითვალიწინებს სფეროს თანამედროვე მიღწევებს; პროგრამაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის დამსაქმებლები და სტუდენტები. ასევე, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ✓ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ✓ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (პროგრამის კურიკულუმი)
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- ✓ სილაბუსები
- ✓ ვებგვერდი

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენლი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის წარმოდგენლი.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- ➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2021 წელს. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლებელია პროგრამის განახლება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები (სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი), ძირითადად შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს. კურსების საკრედიტო მოცულობა, არსებითად, უზრუნველყოფს თითოეული კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლებას. სილაბუსებში გაწერილი ლიტერატურა პასუხობს სილაბუსით გაწერილ თემებს და აცნობს სტუდენტებს მოცემული დარგის თანამედროვე მიღწევებს.

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს დიდი მოცულობის სავალდებულო კურსს (11 სავალდებულო კურსი, 66 კრედიტი), რაც მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებლობას აძლევს სხვა დარგებიდან მოსულ სტუდენტებს მიიღონ პროფესიაში მუშაობისთვის საჭირო ცოდნა, უნარჩვევები და ღირებულებები. სავალდებულო კურსების შინაარსი შესაბამისობაშია სოციალური მუშაობის დარგის სპეციფიკასთან. ასევე, ეს მიდგომა მისაღებია, რადგან პროგრამა ეფუძნება ზოგადი გაღრმავებული სოციალური მუშაობის პრაქტიკის სწავლებას.

პროგრამა სტუდენტებს სთავაზოვს 15-ზე მეტ სავალდებულო-არჩევით კურსს, რომლებიც მოიცავს კურსებს ა) პრაქტიკის მეთოდებთან და ბ) კურსებს პრაქტიკის სფეროებთან დაკავშირებით. თითოეულ კატეგორიაში სტუდენტს მოეთხოვება 6 კრედიტის დაფარვა (სულ 12 კრედიტი). როგორც სავალდებულო, ასევე, სავალდებულო-არჩევით კურსებში, ილიას უნივერსიტეტის კურსების საკრედიტო მოცულობა შეადგენს 6 ECTS-ს. შესაბამისად, სავალდებულო-არჩევითი კურსებიდან სტუდენტს ეძლევა ორი კურსის არჩევის საშუალება. შეთავაზებული სავალდებულო-არჩევითი კურსები სტუდენტებს აძლევთ მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე მუშაობისთვის საჭირო კომპეტენციებს. სავალდებულო-არჩევითი კურსები, ასევე, აძლევს სტუდენტებს კვლევითი უნარების განვითარების საშუალებას, ისეთი მოდულების საშუალებით, როგორებიცაა SPSS, თვისებრივი კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში, კულტურული ანთროპოლოგია: თეორია და კვლევა.

სავალდებულო-არჩევით კურსებში მოცემულია ისეთი კურსები, რომლებშიც აქცენტი კეთდება მულტიდისციპლინურ მუშაობაზე. მაგალითად, კურსში *ფსიქიკური ჯანმრთელობა და აშლილობები,* მკაფიოდ არის გამოკვეთილი ისეთი დარგობრივი კომპეტენციები, როგორებიცაა *ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტების მულტიდისციპლინური გუნდის სხვა წევრების როლის გააზრება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში* და ამ კომპეტენციების გასამტკიცებლად საჭირო თემები და ლიტერატურა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია უფრო მცირე კრედიტიანი კურსების განვითარება, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი მოქნილობა მათთვის საინტერესო კურსების ასარჩევად.

**ტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ✓ კურსის სილაბუსები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა
- ✓ თვითშეფასების ანგარიში
- ✓ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ სასურველია უფრო მცირე კრედიტიანი კურსების განვითარება, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი მოქნილობა მათთვის საინტერესო კურსების ასარჩევად.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | |
|---|---|---|
| | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

„სოციალური მუშაობის“ სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე.

დეტალური ინფორმაცია შიდასუნივერსიტეტო გამოცდის პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“, რომელიც თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

პროგრამაზე დაიშვებიან ბაკალავრის ან ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები ნებისმიერ სფეროში, რაც საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისია.

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას აქვს მხოლოდ ზეპირი ხასიათი.

პირთა პროგრამაზე დაშვების პირობები და პროცედურები არის შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ ვებგვერდი.

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის წარმოდგენილი.

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის კურსების სილაბუსებში მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საჭირო პროფესიული ცოდნის და პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარ-ჩვევების შეძენას. კერძოდ, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სამეცნიერო/კვლევითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას შემდეგნაირად:

- სტუდენტები პირველივე სემესტრიდან გადიან პრაქტიკას, რაც მათ საშუალებას აძლევთ სოციალური მუშაობა შეისწავლონ რეალურ კონტექსტში, სპეციალურად შერჩეულ სოციალური მომსახურებების მიმწოდებელ ორგანიზაციებში. სტუდენტის პრაქტიკის სწავლება მოიცავს 24 კრედიტ ქულას. სწავლებას ხელმძღვანელობს პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომლის შერჩევაც ხდება პრაქტიკის ორგანიზაციის დირექტორის მიერ და პრაქტიკის კოორდინატორი ფაკულტეტიდან ილიას უნივერსიტეტიდან. პრაქტიკის სწავლებისას გამოიყენება სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო.
- ბოლო სემესტრში სტუდენტები მუშაობენ სამაგისტორ ნაშრომზე, პარალელურად კი, გადიან კურსს, რომელიც მათ ეხმარებათ ნაშრომის მომზადებაში (სოციალური მუშაობის კვლევის პროექტი). სტუდნტების სამაგისტრო ნამშრომს ხელმძღვანელობს სფეროს კვალიფიციური ხელმძღვანელი და ცალკეულ შემთხვევებში, თანახელმძღვანელიც. ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დარგის დოქტორი ან დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია. მე-4 სემესტრის დასრულებისას სტუდენტებს მოეთხოვებათ მათი ორიგინალური, კვლევითი სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი სახით წარდგენა და პრეზენტაცია.

პროგრამის ძლიერი მხარეა ის, რომ სავალდებულო და სავალდებულო-არჩევითი კურსების სახით შეთავაზებულია ისეთი კურსები, როგორებიცაა გამოყენებითი სოციალური სტატისტიკა, SPSS და ა.შ., რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს დამოუკიდებლად განახორციელონ კვლევა. ამავდროულად, სასურველია სტუდენტების წახალისება მათ მიერ განხორციელებულ კვლევით პროექტებზე სამეცნიერო სტატიების მომზადების მიმართულებით, კერძოდ, სასურველია, ფაკულტეტზე არსებობდეს სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალი, სადაც სოციალური მუშაობის სტუდენტების შეძლებენ სტატიების გამოქყვენებას. მოწოდებული დოკუმენტაცია არ იძლევა ინფორმაცის ასეთი ჟურნალის არსებობის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა.

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია არსებობდეს ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალი, სადაც სოციალური მუშაობის სტუდენტების შეძლებენ სტატიების გამოქყვენებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამაში მრავალფეროვანი სწავლება-სწავლის მეთოდია წარმოდგენილი:

- ✓ ლექცია, სემინარი;
- ✓ ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა;
- ✓ დისკუსია/დებატები;
- ✓ დემონსტრირების მეთოდი;
- ✓ პრაქტიკული მეთოდი (როლური თამაში, სიმულაცია, საველე პრაქტიკა);
- ✓ პროექტი (სოციალური პროექტების განხორციელება);
- ✓ რეფლექსია/თვითრეფლექსია/გამოცდილებით სწავლება (Experiential learning);
- ✓ RESULT-ფორმატის სწავლება/პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- ✓ დისტანციური (ელექტრონული) სწავლების ელემენტები (online lectures/seminars, online side
- ✓ events, online virtual field trips, guest speakers);
- ✓ შემთხვევის შესწავლა (Case study); შემთხვევის ანალიზი;
- ✓ ანალიზი და სინთეზი;
- ✓ სუპერვიზია/პროფესიული ზედამხედველობა;
- ✓ ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (Action Learning);
- ✓ სერვისის გამოყენებით სწავლება (Service Learning), ჩართულობითი, კოლაბორაციული
- ✓ სწავლება (Engaged and Collaborative Teaching);
- ✓ გონებრივი იერიში (Brainstorming);
- ✓ დაკვირვება (shadowing).

ზემოტაღნიშნული მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შედეგების მიღწევას. ასევე, აღსანიშნავია, რომ კურსების დონეზე სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოქნილია და მორგებულია კონკრეტული კურსის მიზნებსა და შედეგებზე.

ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა
- ✓ კურსის სილაბუსები
- ✓ თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არ არის წარმოდგენილი.

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა შეფასება გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. კერძოდ:

ა) სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა, სტანდარტულად, უშვებს ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას, რომლებიც რანჟირებს 51-დან 100 ქულის ჩათვლით: (A, B, C, D და E და ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას (FX და F ), რომელიც რანჟირებს 0-50 ქულების შუალედში.

ბ) შულედური შეფასებები ეყრდნობა შემდეგს:

- ✓ საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება;
- ✓ წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები;

- ✓ შემთხვევის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში მკაფიოდ არის ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია განმავითარებელი უკუკავშირიც. სტუდენტები იღებენ დეტალურ განმარტებებს შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე მათ მიერ დაშვებული შეცდომებისა და მათი გამოსწორების გზების შესახებ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პრაქტიკის კომპონენტის შეფასება, როდესაც შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. კერძოდ, პრაქტიკის კურსების შეფასების დროს შეფასებაში ჩართულია, ასევე, პრაქტიკის ხელმძღვანელი, რაც კარგი პრაქტიკაა.

აღსანიშნავია, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ცნობილია თავად სტუდენტებისთვისაც.

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი; თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. პერიოდულად ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ✓ კურსის სილაბუსები
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა
- ✓ თვითშეფასების ანგარიში
- ✓ გასაჩივრების წესი

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არ არის წარმოდგენილი.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **2.4** სტუდენტების შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

აღნიშნული სტანდარტი არ ფასდება.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდოაკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა | |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ექსპერტებისთვის მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამას ახორციელებენ მაღალი კვალიფიკაციის მქონდე კადრები სოციალური მუშაობის და მომიჯნავე პროფესიებიდან, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები. კადრების კვალიფიციურობას განაპირობებს უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკა და პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი. კერძოდ, უნივერსიტეტი აკადემიური თანამდებობის შერჩევას ახდენს კონკურსის წესით, მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინებით. პროგრამის აკადემიური პერსონალის ნაწილს და მოწვეული პერსონალის უდიდეს ნაწილის, აქვს აკადემიური ხარისხი სოციალურ მუშაობაში და სოციალური მუშაობის სწავლების, კვლევისა და პრაქტიკის დიდი გამოცდილება. მოწვეული პერსონალის უმრავლესობა არის სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი. პერსონალის საქმიანობა ფასდება სწავლების და კვლევისა, და სოციალური იმპაქტის მიხედვით.

აკადემიური და პერსონალის პირადი საქმეების თანახმად, მათ აქვთ საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, რასაც ადასტურებს პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მაჩვენებლი (უბლიკაციები,საგრანტო პროექტები, კონფერენციები და სხვა მიღწევები). ბევრი მათგანი ჩართულია საქართველოში სოციალური პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურებების განვითარებაში; შეტანილი აქვთ წვლილი დარგის განვითარებაში და ინტერნაციონალიზებაში; არიან ადგილობრივი და საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციების წევრები.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის და ადგილობრივ უნივერსიტეტებთან, იღებს მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და ტრენინგებში. 2021 წლის თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, მუდმივად ხდება პერსონალის პროფესიული ზრდა და გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები პერსონალის განსავითარებლად. პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და კვლევით და სამეცნიერო გრანტებში. მაგ. 8 პროფესორმა, ისევე როგორც სტუდენტებმა, მონაწილეობა მიიღეს გამოცდილების ურთიართგაზიარების აქტივობებში პალაცკის უნივერსიტეტის (ჩეხეთი) სოციალური მუშაობის დეპარტამენტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამაში; 2018-2021, ევრაზიის პროექტის ფარგლებში (CPEA-LT-2017/10043), დამყარდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ნორვეგიის რუდოლფ შტაინერის საუნივერსიტეტო კოლეჯთან სოციალური მუშაობის პრაქტიკის განვითარების მიზნით. თანამშრომლობამ უზრუნველყო პროფესორების სტაჟირება ნორვეგიაში. ასევე, გამოიცა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის პრაქტიკის სწავლებისთვის.

სამაგისტრო პროგრამის აღწერის დოკუმენტის თანახმად, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 15 აკადემიური პერსონალი (8 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ პროფესორი) და 8 მოწვეული ლექტორი.

სამაგისტრო პროგრამის დამფუძნებელ გუნდს და განმახორციელებლებს მეთოდოლოგიურ დახმარებასა და სუპერვიზიას უწევს ოთხი საერთაშორისო ექსპერტი, ჩიკაგოს, კალიფორნიის შტატის (California State University Northridge), კალიფორნიის უნივერსიტეტებიდან (University of California) და ჰანტერის კოლეჯიდან (Hunter College).

აკადემიური და /მოწვეული პერსონალის რაოდენობა და კომპეტენციები უზრუნველყოფს საგნების მრავალფეროვან არჩევანს. თუმცა,უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის მცირე ნაწილს აქვს აკადემიური კვალიფიკაცია უშუალოდ სოციალური მუშობის მიმართულებით. რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობის, ფაკულტეტს აუცილებელია ჰყავდეს 1 პროფესორი არაუმეტეს 40 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 3 პროფესორისა თითოეულ პროგრამაზე (მინიმუმ ორი პროფესორის კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას), ასევე, 1 მოწვეული ლექტორი 20 სტუდენტზე. გარდა ამისა, პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისას, უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამა მხედველობაში იღებს პერსონალის დატვირთვის სქემით გათვალისწინებული სწავლებისა და კვლევისთვის დადგენილი საათობრივი დატვირთვას.

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამას ჰყავს მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხი მიღებული აქვს ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტიდან, ფსიქოლოგიის დოქტორის ხარისხი კი, უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან. გარდა ამისა, მას მიღებული აქვს სერტიფიკატები ნარკოდამოკიდებულების და აივ ინფექციის კვლევის ცენტრისგან (NIDA., NYU, NY, USA), საგანმანათლებლო გაზომვების ინსტიტუტისგან (Arnhem, Netherlands), საერთაშორისო პედაგოგიური კვლევის ცენტრისგან (DIPF. Frankfurt, Germany) და ა. შ.

პროგრამის ხელმძღვანელი 2019 წლიდან არის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი. 2007-2019 წლეში ის იყო ასოცირებული პროფესორი იმავე ფაკულტეტზე. 2003-2007 წლებში კი, იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.

პროგრამის ხელმძღვანელს აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოში სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამების და თავად პროფესიის დანერგვასა და განვითარებაში. ის არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი და ამჟამად ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას. მისი თაოსნობით საქართველოში სოციალური მუშაობის პირველი აკადემიური პროგრამის დაარსების დღიდან, პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო სწავლებაში, შექმნილი აქვს დარგისთვის მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები. პროგრამის ხელმძღვანელი სისტემატიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში, ხელმძღვანელობს და მონაწილეობას იღებს სამეცნიერო პროექტებში. მას მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და სტიპენდია, კერძოდ: ცენტრალური ევრაზიის შემსწავლელი საზოგადოების სტიპენდია, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ფულბრაიტის კვლევითი სტიპენდია, ღია საზოგადოების ინსტიტუტის სოციალური მუშაობის პროგრამის სტიპენდია და ა.შ. იგი არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტი. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე, ასრულებს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელისა და სოციალური მომსახურებების და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრის დირექტორის მოვალეობას. თვითშეფასების დოკუმენტიდან და პირადი საქმიდან მკაფიოდ ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს წამყვანი როლი არა მხოლოდ პროგრამის შემუშავებაში, მართვასა და შეფასებაში, არამედ, ასევე, სტუდენტების სწავლებაში, შეფასებაში, სამაგისტრო ნაშრომების განხორციელებაში და ა.შ.

გარდა ამისა, წარმოდგენილი აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წესი დეტალურად განსაზღვრავს ფაკულტეტის აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელების და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის, პროგრამის ხელმძღვანელის არჩევის, პროგრამის სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების წესს და ხელმძღვანელისა და პროგრამის სამუშაო ჯგუფის ძირითად ფუნქციებს და მოვალეობებს.

პროგრამის განხორციელებაში აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების გარდა მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სხვა სტრუქტურული ერთეულები, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესისა და მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, ბიბლიოთეკა, მულტიმედია ცენტრი და სხვა. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტები არ იძლევა ამ რესურსების დეტალური ანალიზის საშუალებას.

| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6] | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7] | მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | 15 | | | |
| - პროფესორი | 8 | 1 | | 8 |
| - ასოცირებული პროფესორი | 4 | 1 | | 4 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 3 | | | 3 |
| - ასისტენტი | 0 | | | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 8 | 8 | | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | _ |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ✓ აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- ✓ სტუდენტთან კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- ✓ პროგრამების ხელმძღვანელებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წესი
- ✓ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების წესი
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა
- ✓ თვითშეფასების ანგარიში
- ✓ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- ✓ პრაქტიკის კოორდინატორის შეფასების ფორმა
- ✓ პრაქტიკის საგანმანათლებლო გეგმა

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ✓ სასწავლო პროცესში ჩართულ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ სასურველია, სოციალურ მუშაობაში დოქტორანტების წახალისება და მხარდაჭერა, რათა მათ დისერტაციის დაცვის შემდეგ გაამდიდრონ პროგრამის აკადემიური პერსონალი.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **4.1 ადამიანური რესურსი** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბოლო სემესტრში სტუდენტები მუშაობენ სამაგისტორო ნაშრომზე, პარალელურად კი, გადიან კურსს, რომელიც მათ ეხმარებათ ნაშრომის მომზადებაში (სოციალური მუშაობის კვლევის პროექტი). სტუდნტების სამაგისტრო ნამშრომს ხელმძღვანელობს სფეროს კვალიფიციური ხელმძღვანელი და ცალკეულ შემთხვევებში, თანახელმძღვანელიც. ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დარგის დოქტორი ან დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია. მე-4 სემესტრის დასრულებისას სტუდენტებს მოეთხოვებათ მათი ორიგინალური, კვლევითი სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი სახით წარდგენა და პრეზენტაცია

| **სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა** | **ნაშრომების ხელმძღვანელები** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები** | **მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი** |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| - პროფესორი | 8 | 1 | 8 |
| - ასოცირებული პროფესორი | 4 | 1 | 4 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 3 | | 3 |
| მოწვეული პერსონალი | 8 | 8 | |
| სამეცნიერო პერსონალი | - | | _ |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის წარმოდგენილი.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები ხასიათდებიან მაღალი სასწავლო და სამეცნიერო პროდუქტიულობით. ამასვე ადასტურებს თვითშეფასების დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ, რომ „მუდმივად ხდება პერსონალის პროფესიული ზრდა. პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და კვლევით და სამეცნიერო გრანტებში.“ ასევე, ხაზი უნდა გაესვას

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებს, რაც თავის თავსში მოიცავს კომპეტენტურ პრაქტიკის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უნივერსიტეტს აქვს დეტალურად გაწერილი პერსონალის შეფასების წესი. ასევე, მკაფიოა პერსონალის გაძლიერებაში უნივერსიტეტის როლი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც მოგვცემდა საშუალებას გვემსჯელა, თუ როგორია პროგრამის სილაბუსების შეფასებისა და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში უნივერსიტეტის, მისი პერსონალის მართვის დეპარტამენტის და სხვა სტრუქტურული ერთეულების როლი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა
- ✓ თვითშეფასების ანგარიში
- ✓ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ პრაქტიკის საგანმანათლებლო გეგმა
- ✓ აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- ✓ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების წესი
- ✓ სასწავლო პროცესში ჩართულ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არ არის წარმოდგენილი.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის პროცესს არ გამოუწვევია მატერიალური რესურსის ცვლილება/განახლება/დამატება. ამავე დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამოყენებული სასწავლო ფორმატისა და მეთოდების შესაბამის ინფრასტრუქტურას, კერძოდ ბიბლიოთეკას და კომპიუტერულ ოთახს ინტერნეტთან და ელექტრონულ ბაზებთან წვდომით. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა არსებული რესურსების, მათ შორის ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის, საბიბლიოთეკო და სხვა რესურების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის საშუალებას.

სტუდენტებს წვდომა აქვთ 2007 წელს ევრაზიის პროექტის ფარგლებში შექმნილ სოციალური მუშაობის რესურს-ცენტრთან (ამჟამად, სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრი), ასევე, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის რესურს-ცენტრთან.

ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამას პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებებს, რაც საშუალებას აძლებს სტდენტებს პრაქტიკის სწავლების პროცესში გამოიყენონ ამ ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პრაქტიკისთვის გამოყენებულია მთელი საქართველოს მასშტაბით ოცდაათმდე პრაქტიკის სააგენტო, როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან სოციალური მუშაობის სხვადასხვა სფეროს ბენეფიციარებს. პრაქტიკის სწავლება შეთავაზებულია შემდეგ სფეროებში:

- ✓ ბავშვების, ახალგაზრდებისა და ოჯახების კეთილდღეობა; სოციალური დაცვის სისტემა და სოციალური ზრუნვა
- ✓ პენიტენციალური სისტემა: არასრულწლოვანი დამნაშავეები; კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები
- ✓ ადამიანთა უფლებების დაცვა: კულტურული, რელიგიური და სხვა ნიშნით მრავალფეროვნება; ძალადობის მსხვერპლები
- ✓ ფსიქიკური ჯანმრთელობა, წამალდამოკიდებულება, ალკოჰოლიზმი
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, განვითარების დარღვევები (ბავშვები, მოზრდილები და ხანდაზმულები)
- ✓ სოციალური მუშაობა სკოლაში/სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან: რთული ქცევის ბავშვები და სხვა
- ✓ უსახლკარობა, სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობა; უმუშევრობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა
- ✓ თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის წარმოდგენილი.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.4 მატერიალური რესურსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისობაშია პროგრამის საჭიროებებთან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გარკვეული საბიუჯეტო ხაზების დაფინანსება შეღუდულია (მაგ. 2 წლის განმავლობაში პროგრამული უზრუნველყოფა, ისევე როგორც ექსპედიციები/ სასწავლო პრაქტიკა/საკონფერენციო ხარჯები ფინანსდება 1000-1000 ლარით). სასურველია გარკვეული საჭიროებების დაფინანსება შეზღუდული არ იყოს პროგრამის სტუდენტების სწავლის გადასახადით შემოსული რესურსებით და დამატებით იფარებოდეს სხვა წყაროებიდან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ✓ პროგრამის ბიუჯეტი

**რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის წარმოდგენილი.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ააანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

აღნიშნული სტანდარტი არ ფასდება.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.2 გარე ხარისხის შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| შეფასება<br>სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

<u>ხელმოწერები:</u>

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის  სახელი, გვარი, ხელმოწერა:

სალომე ნამიჭეიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის სახელ, გვარი, ხელმოწერა:

ნათია ფარცხალაძე

